# საბავშვო საწოლისა და მატრასის ტექნიკური მოთხოვნები

## 1. ზოგადი მოთხოვნები

საწოლი უნდა იყოს განკუთვნილი საბავშვო ბაღებში ყოველდღიური ინტენსიური გამოყენებისთვის და უნდა გამოირჩეოდეს მაღალი სიმტკიცით, სტაბილურობით, უსაფრთხოებითა და მარტივი მოვლა-დასუფთავების შესაძლებლობით.

კონსტრუქცია ექსპლუატაციის პროცესში არ უნდა ირყეოდეს, უნდა ინარჩუნებდეს ფორმისა და გეომეტრიის სტაბილურობას და უძლებდეს ყოველდღიურ მექანიკურ დატვირთვებს.

საწოლი უნდა იყოს ახალი და მომხმარებელს უნდა ჩაბარდეს სრულად აწყობილი სახით.

საწოლის ყველა ელემენტი უნდა იყოს ხარისხიანად დამუშავებული, უსაფრთხო და ტრავმის რისკისგან დაცული. დაუშვებელია, რომ პროდუქტს ჰქონდეს:

- ბასრი კუთხეები, წიბოები ან ტრავმის გამომწვევი ზედაპირები;
- გამოშვერილი ხრახნები, სამაგრები ან სხვა საფრთხის შემცველი ელემენტები;
- ბზარები, აშრევებული ფანერა, დეფორმირებული ან დაზიანებული ზედაპირები;
- ხიჭვები, უხეში ან არასათანადოდ დამუშავებული ადგილები;
- მორყეული, მტვრევადი ან არასაიმედოდ დამაგრებული დეტალები.

ყველა ხილული და ბავშისათვის ხელმისაწვდომი კუთხე და ღია კიდე უნდა იყოს დამრგვალებული და უსაფრთხოდ დამუშავებული ბავშვთა გამოყენებისთვის.

## 2. ზომები და მატრასის ბუდე

საწოლის გარე ზომებია:

- სიგრძე — არანაკლებ 145 სმ;
- სიგანე — არანაკლებ 65 სმ;
- საერთო სიმაღლე —23-25 სმ.

მატრასისთვის განკუთვნილი საწოლის შიდა ბუდის ზომებია:

- სიგრძე — არანაკლებ 141.5 სმ;
- სიგანე — არანაკლებ 61.5 სმ;
- სიღრმე - 6-8 სმ.

მატრასის ზომებია:

- სიგრძე - არანაკლებ 140 სმ
- სიგანე - არანაკლებ 60 სმ
- სიმაღლე - არანაკლებ 10 სმ.

პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ დაცული უნდა იქნეს მატრასის თავსებადობა საწოლის კონსტრუქციასთან ისე, რომ შესრულდეს შემდეგი:

- მატრასის ჩასმის შემდეგ მატრასის კიდესა და საწოლის შიდა გვერდებს შორის დარჩენილი თავისუფალი სივრცე არც ერთ მხარეს არ უნდა აღემატებოდეს 1 სმ-ს, რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვის სხეულის ნაწილების გაჭედვის რისკი.
- მატრასის ზედაპირი საწოლის ბორტის ზედა კიდეზე უნდა მდებარეობდეს დაახლოებით 1–3 სმ-ით მაღლა.

საწოლის გვერდები უნდა იყოს დაბალი პროფილის, მომრგვალებული და უსაფრთხოდ დამუშავებული. კონსტრუქცია უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის უსაფრთხო დაწოლას, წამოდგომას და მატრასის სტაბილურად ფიქსაციას.

## 3. ძირითადი მასალა — ფანერა

საწოლის ძირითადი კონსტრუქცია უნდა დამზადდეს ავეჯის დანიშნულების მრავალშრიანი ფანერისგან, შემდეგი მოთხოვნებით:

- კარკასის ფანერის სისქე — არანაკლებ 15 მმ;
- მატრასის საფუძვლის ფანერის სისქე — არანაკლებ 10 მმ;
- ფანერა უნდა იყოს შიდა გამოყენებისთვის განკუთვნილი;
- ფანერა უნდა აკმაყოფილებდეს არანაკლებ E1 ემისიის კლასის მოთხოვნებს;
- ზედაპირი უნდა იყოს გლუვი, თანაბარი და ხარისხიანად დამუშავებული, დეფორმაციების, აშრევების ან სხვა ვიზუალური და სტრუქტურული დაზიანებების გარეშე.

საბავშვო ავეჯში გამოყენებული ფანერის ზედაპირის ხარისხი უნდა იყოს არანაკლებ I/II ან II/II კლასის.

მცირე ზომის ზედაპირული დეფექტები დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხარისხიანად არის დამუშავებული, შევსებული და არ აუარესებს პროდუქტის უსაფრთხოებას, გამძლეობასა და ვიზუალურ ხარისხს.

დაუშვებელია:

- ფანერის ფენების აცლა ან აშრევება;
- ბზარები ან ნახეთქები;
- ამოშვერილი, დამტვრეული ან დაზიანებული ნაწილები;
- ხიჭვები;
- უხეში ან არასათანადოდ დამუშავებული ზედაპირები;
- მკვეთრი ან არასასიამოვნო სუნი.
-

## 4. ზედაპირის, კიდეების და კუთხეების დამუშავება

ფანერის ყველა ხილული ზედაპირი და წიბო უნდა იყოს ხარისხიანად დამუშავებული, გაშლიფული, გლუვი და უსაფრთხო.

საბავშვო ავეჯის გარე კუთხეები უნდა იყოს მომრგვალებული არანაკლებ R10 რადიუსით.

ყველა ხილული და ბავშვისათვის ხელმისაწვდომი კიდეების დამუშავება უნდა განხორციელდეს არანაკლებ 2 მმ რადიუსის მომრგვალებით ან ალტერნატიულად — არანაკლებ 30°-იანი წაკვეთით, ფრეზით დამუშავების გზით, მთელ სიგრძეზე.

ფანერის ზედაპირი უნდა იყოს დამუშავებული გამჭვირვალე დამცავი საფარით, რომელიც განკუთვნილია ავეჯისთვის და უზრუნველყოფს ცვეთამედეგობას, სველი წმენდისა და დეზინფექციისადმი მდგრადობას.

დასაშვებია ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი საფარის სისტემა ან მათი კომბინაცია:

ა) წყლის ბაზაზე ორკომპონენტიანი ურეთან-აკრილატის კოპოლიმერის საფარი (2K)

ან/და

ბ) წყლის ბაზაზე ორკომპონენტიანი პოლიურეთანის საფარი (2K);

ან/და

გ) წყლის ბაზაზე აკრილის საფარი;

ან/და

დ) ულტრაიისფერი გამყარების (UV) აკრილატული ან პოლიურეთანული საფარი;

ან/და

ე) წყლის ბაზაზე აკრილ-პოლიურეთანის ჰიბრიდული საფარი.

საფარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა იყოს არანაკლებ 2 ფენად დატანილი
- უნდა იყოს თანაბრად განაწილებული;
- არ უნდა აღენიშნებოდეს აშრევება, აქერცვლა, ზედაპირის დარბილება, ფერის მნიშვნელოვანი ცვლილება; წყლის შეწოვით გამოწვეული დეფორმაცია; ბზარი, გადინება ან სხვა ხილული დეფექტი;
- უნდა უძლებდეს სველი წესით წმენდასა და საბავშვო დაწესებულებებში გამოყენებად სტანდარტულ დეზინფექციას;
- საფარის ზედაპირი არ უნდა გახდეს წებოვანი, არ უნდა შეიცვალოს ფერი და არ უნდა იშლებოდეს ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში.

დაუშვებელია:

- ზეთის ბაზაზე ავეჯის საფარის გამოყენება;
- ნიტროცელულოზური ლაქების გამოყენება;
- სამშენებლო დანიშნულების საღებავის გამოყენება;
- ზედაპირული დეკორატიული საფარის გამოყენება, რომელიც არ არის განკუთვნილი ავეჯისთვის.

## 5. კონსტრუქცია და აწყობა

კონსტრუქცია უნდა იყოს მყარი და სტაბილური. იგი დატვირთვის პირობებში არ უნდა ირყეოდეს, კარგავდეს სტაბილურობას ან განიცდიდეს დეფორმაციას.

ფანერის მზიდი და სივრცითი სიმყარისთვის მნიშვნელოვანი კონსტრუქციული შეერთებები უნდა შესრულდეს დაფრეზილი ჩამჯდარი (ღარული) შეერთებით ან ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი ან მათი კომბინირებული კონსტრუქციული გადაწყვეტით:

ა) დაფრეზილი ჩამჯდარი (ღარული) შეერთება (Dado / Groove ტიპის);

ან/და

ბ) დაფრეზილი ჩამჯდარი შეერთება დუბელებით გამაგრებული;

ან/და

გ) მინი-ფიქსისა (ექსცენტრიკული შემაერთებელი) და დუბელების კომბინირებული შეერთება;

ან/და

დ) კონფირმატისა და დუბელების კომბინირებული შეერთება;

ან/და

ე) სხვა მექანიკური ჩამჯდარი შეერთება, რომელიც უზრუნველყოფს დეტალების ურთიერთჩასმას და დამატებით მექანიკურ ფიქსაციას.

დაუშვებელია:

- დეტალების ერთმანეთზე მხოლოდ შეჭედვა;
- მხოლოდ შეწებება დამატებითი კონსტრუქციული დამაგრების გარეშე;
- მხოლოდ ზედაპირული ხრახნული შეერთება დამატებითი გამაძლიერებელი ელემენტის გარეშე;
- სტეპლერის ტყვიების გამოყენება მზიდ ან ბავშვისთვის ხელმისაწვდომ ელემენტებში;
- სილიკონის, სამონტაჟო ქაფის ან მსგავსი მასალის გამოყენება მზიდი შეერთების ფუნქციით. მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ დამალულ, არაკონსტრუქციულ და ბავშვისთვის მიუწვდომელ დეტალებში, იმ პირობით, რომ არ არსებობს მათი მოშლის, გამოყოფის, ამოწევის ან ექსპლუატაციის პროცესში ტრავმისა და ჯანმრთელობის დაზიანების რისკი.

გამოყენებული შეერთება მიღებულ კონსტრუქციაში უნდა უზრუნველყოფდეს გეომეტრიულ სტაბილურობას, მორყევისადმი მდგრადობას და მრავალწლიანი ექსპლუატაციის პირობებში კონსტრუქციის მთლიანობის შენარჩუნებას.

გამოყენებული სამაგრები არ უნდა იყოს გამოშვერილი და არ უნდა ქმნიდეს ტრავმის რისკს. ჭანჭიკების თავები უნდა იყოს გათანაბრებული ავეჯის ზედაპირთან ან დაცული უსაფრთხო, მომრგვალებული ფორმის ელემენტებით. დასაშვებია სპეციალური სილიკონის დამცავი ელემენტების გამოყენებაც.

ძირითადი მზიდი ელემენტები უნდა დამზადდეს მთლიანი დეტალებისგან, გადაბმებისა და შეწებების გარეშე.

## 6. მატრასის დასადები საფუძველი

მატრასის ქვეშ დასადები უნდა წარმოადგენდეს მყარ, ერთიან კონსტრუქციულ ზედაპირს.

საფუძველი უნდა დამზადდეს არანაკლებ 10 მმ სისქის მრავალშრიანი ფანერისგან.

კლასი - არანაკლებ E1.

მატრასის საფუძველი უნდა იყოს:

- მყარად დამაგრებული;
- გლუვად დამუშავებული;
- დეფორმაციისადმი მდგრადი;
- უსაფრთხო და ბასრი ზედაპირების გარეშე;
- წყლის ბაზაზე დამზადებული ლაკით ორ ფენად;

დასაშვებია ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი საფარის სისტემა ან მათი კომბინაცია:

ა) წყლის ბაზაზე ორკომპონენტიანი ურეთან-აკრილატის კოპოლიმერის საფარი (2K);

ან/და

ბ) წყლის ბაზაზე ორკომპონენტიანი პოლიურეთანის საფარი (2K);

ან/და

გ) წყლის ბაზაზე აკრილის საფარი;

ან/და

დ) ულტრაიისფერი გამყარების (UV) აკრილატული ან პოლიურეთანული საფარი;

ან/და

ე) წყლის ბაზაზე აკრილ-პოლიურეთანის ჰიბრიდული საფარი.

საფარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა იყოს არანაკლებ 2 ფენად დატანილი;
- უნდა იყოს თანაბრად განაწილებული;

- არ უნდა აღენიშნებოდეს აშრევება, აქერცვლა, ზედაპირის დარბილება, ფერის მნიშვნელოვანი ცვლილება; წყლის შეწოვით გამოწვეული დეფორმაცია; ბზარი, გადინება ან სხვა ხილული დეფექტი;
- საფარის ზედაპირი არ უნდა გახდეს წებოვანი, არ უნდა შეიცვალოს ფერი და არ უნდა იშლებოდეს ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში.

დაუშვებელია:

- ზეთის ბაზაზე ავეჯის საფარის გამოყენება;
- ნიტროცელულოზური ლაქების გამოყენება;
- სამშენებლო დანიშნულების საღებავის გამოყენება;
- ზედაპირული დეკორატიული საფარის გამოყენება, რომელიც არ არის განკუთვნილი ავეჯისთვის.

მატრასის დასადები ძირი უნდა უზრუნველყოფდეს ბუნებრივ ვენტილაციას. კონსტრუქცია უნდა მოიცავდეს სავენტილაციო ღიობებს ან დაშორებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ჰაერის თავისუფალ ცირკულაციას მატრასის ქვედა მხარეს. სავენტილაციო ღიობების საერთო ფართობი უნდა იყოს საყრდენი ზედაპირის დაახლოებით 5–10%, თანაბრად განაწილებული მთელ ზედაპირზე. ნებისმიერი სავენტილაციო ღიობის მაქსიმალური სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 60 მმ-ს.

## 7. მატრასი

საწოლს უნდა მოყვებოდეს შესაბამისი ზომის მატრასი.

მატრასის სისქე/სიმაღლე იზომება მატრასის ქვედა ზედაპირიდან ზედა ზედაპირამდე, დატვირთვის გარეშე, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

მატრასის შიგთავსი უნდა იყოს ერთიანი ელასტიური ქაფპოლიურეთანი (PU foam), შეწებების გარეშე.

„ერთიანი“ ნიშნავს, რომ მატრასის შიგთავსი უნდა შედგებოდეს ერთი მთლიანი ქაფის ბლოკისგან და არ უნდა იყოს შედგენილი სხვადასხვა ნაჭრის, ფენის ან ფრაგმენტის ერთმანეთზე მიწებებით.

PU foam-ის სიმკვრივე უნდა იყოს არანაკლებ 22 კგ/მ³, განსაზღვრული ISO 845 სტანდარტის ან შესაბამისი მეთოდის მიხედვით.

მატრასი უნდა ინარჩუნებდეს ფორმას ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში და არ უნდა განიცდიდეს სწრაფ დეფორმაციას, ჩაწოლას ან შიგთავსის დაშლას.

## 8. მატრასის ჩიხოლი

მატრასის ჩიხოლი უნდა იყოს მოხსნადი და რეცხვადი.

მატრასის ჩიხოლი უნდა იყოს არანაკლებ 200 გ/მ² პოლიესტერის ან პოლიესტერ-ბამბის ქსოვილი.

ჩიხოლი უნდა იყოს:

- რბილი;
- გლუვი;

- რეცხვადი;
- სტაბილური ფორმისა და ფერის;
- ორმაგი ნაკერით დამუშავებული;
- აღჭურვილი ელვა-შესაკრავით ან სხვა პრაქტიკული მოხსნადი სისტემით.

რეცხვის შემდეგ ჩიხოლი არ უნდა კარგავდეს ფორმას, ფერს ან ფუნქციურობას.

## 9. საყრდენები / ფეხები

ფეხებს უნდა გააჩნდეს იატაკის დამცავი ელემენტები (ფეხის ქოშები, სილიკონის ან ქეჩის დამცავი ელემენტები), რომლებიც დაიცავს იატაკის საფარს დაზიანებისგან.


230
650
140
230
1420
1450
230
60
1420
1450
620
650